

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლ.ბიგვავას
ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

თავმჯდომარეობდა: გიორგი ღურჯუმელიძე-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ესწრებოდნენ:საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ტ.აროშიძე.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ი.სირაძე.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე გ.ღურჯუმელიძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს. აღნიშნა, რომ დაიწყო საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ ნიშანდობლივია მოსმენა იწყება ერთ-ერთი უაღრესად პროფესიონალი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე საკრებულოს წევრის ლ.ბიგვავას ანგარიშის მოსმენით, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში.

საკრებულოს წევრმა ლ.ბიგვავამ, საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, ვრცლად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციასა და კომისიებში, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ლ.ბიგვაძა მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს მნიშვნელოვან საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე გ.ღურჯუმელიძე, აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობდა რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის გ.ღურჯუმელიძის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

გიორგი ღურჯუმელიძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო